



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 173

2013 წლის 6 დეკემბერი
ქალაქი ხაშური

ქალაქ ხაშურში ღარიბაღელიდან ჩამომავალი წყლის გამტარი მილის გაწმენდითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2013 წლის 29 ნოემბერს შემოსული ქიმიკატების უბნის მოსახლეობის N6070 კოლექტიური განცხადების, მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 5 დეკემბრის მოხსენებითი ბარათის, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 6 დეკემბრის N1080 ბრძანების შესაბამისად ქალაქ ხაშურში ღარიბაღელიდან ჩამომავალი წყლის გამტარი მილის გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ქალაქ ხაშურში ღარიბაღელიდან ჩამომავალი წყლის გამტარი მილის გაწმენდითი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

